კონრად ადენაუერის სახელობის ფონდი

**რეგიონული პროგრამა- სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური დიალოგი**
ჯანან ატილგან

**2012. აპრილი**

**www.kas.de/kaukasus**
**www.kas.de**

# სამხედრო რეფორმა გერმანიასა და საქართველოში

გერმანიის თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა და დეპუტატმა, ბატონამ თომას კოსენდაიმ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან და უსაფრთხოების საკითხების ექსპერტებთან ერთად ისაუბრა გლობალური უსაფრთხოების გამოწვევებზე, ევროპის უსაფრთხოებასა და გერმანიის თავდაცვის სამინისტროს რეფორმაზე.

23 აპრილს საქართველოს ატლანტიკურ საბჭოსტან ერთად ჩატარებული ღონისძიება საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ნოდარ ხარშილაძემ გახსნა. მან გამოსვლაში ხაზი გაუსვა გერმანია-საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელობას და პოზიტიურად შეაფასა პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და კულტურის სფეროებში თანამშრომლობა. თავდაცვის სფეროში გერმანია საქართველოს ეხმარება ოფიცრების აღზრდაში, რასაც თავის მხრივ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეფორმაში შეაქვს თავისი წვლილი. ხარშილაძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ საქართველოს გერმანიის მხარდაჭერის იმედი აქვს ნატოში გაწევრიანების პროცესებში

თომას კოსენდაიმ ფართოდ ისაუბრა თავდაცვის სამინისტროს რეფორმაზე და წარმოშობილ გამოწვევებზე. მისი სიტყვების მიხედვით, რეფორმა საჭირო იყო იმისათვის, რომ გერმანიას მასშტაბებთან შედარებით მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა სხვადასხვა მისიებში მონაწილეობისათვის, გადაწყვეტილებების პროცესები მძიმედ მიდიოდა მოუქნელი კანონების გამო და სამინისტრო არასაკმარის დაფინანსებას ღებულობდა. დაისახა შემდგი მიზნები: სამინისტროს ამოცანები და შესაძლებლობები უსაფრთხოების პოლიტიკის კუთხით უნდა ყოფილიყო არგუმენტირებული, სტრუქტურები დემოგრაფიულ მონაცემებზე მორგებული და სამინისტროს უნდა მიეღო მდგრადი დაფინანსება. კოსენდაიმ ასევე ისაუბრა უსაფრთხოების პოლიტიკის პარამეტრებზე და განაცხადა, რომ უსაფრთხოების სფერო ჩვენს დროში უფრო კომპლექსური, არაპროგნოზირებადი და დინამიურია ვიდრე ცივი ომის დროს. მაგალითად მან მოიყვანა რეგიონში დესტაბილიზაცია, რომელიც არა პირდაპირ, არამედ თავისი შედეგებით შეიცავენ საფრთხეს. საფრთხეს წარმოადგენს ასევე, მასობრივი განადგურების იარაღების წარმოებაც და თავდასხმები მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურებზე. ამ ყველაფრის საპასუხოდ გერმანიის თავდაცვის სამინისტრო მომზადებული უნდა იყოს და შეეძლოს შესაბამისად მოქმედება. ამასთან, გერმანია მხოლოდ ნაწილია საერთო გლობალური უსაფრთხოების სისტემისა.

გერმანიის თავდაცვის სამინისტროს ევალება სამომავლოდაც შემდეგი პუნქტების დაცვა:

- როგორც მიწის ასევე ქვეყნის დაცვა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ფარგლებში

- წვლილი სამშობლოს დაცვაში
- გლობალური უსაფრთხოებისათვის ჩატარებული სამუშაოები
- მსოფლისო მასშტაბით ჰუმანიტარული დახმარება
- გერმანიის მოქალაქეების ევაკუაცია და გათავისუფლება საზღვარგარეთ
- პარტნიორობა და კოოპერაცია მულტინაციონალური და გლობალური უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის შემადგენელი ნაწილია.
- ჰუმანიტარული დახმარება საზღვარგარეთ

ამასთან სამინისტროს სხვა უამრავი უნარიც უნდა წამოიწიოს წინ. მას უნდა შეეძლოს  როგორც სამშვიდობო შენაერთებს,  მაგ.:ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ასევე შეიარაღებულ შენაიერთების,  როგორც ავღანეთში, გამოყოფაც. რეფორმა ითვალისწინებს, როგორც სამხედრო პირების შემცირებასაც და ასევე სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხსნას. ახალგაზრდა ადამიანის პროფესიულ ჯარისკაცად მიღება მოხდება მხოლოდ  კარიერული ცენტრების მეშვეობით. შემუშავებულია ასევე ახალი კონცეფცია რეზერვისტებისათვის, რითაც შესაძლებელი იქნება საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ძალის გამოყოფა.

კოსენდაიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებს შორის თანამშრომლობა სამომავლოდ უფრო ინტენსიური უნდა გახდეს. ამასთან, პარლამენტის დონეზეც უნდა გამტკიცდეს თანამშრომლობა.  მან საქართველოს მთავრობას მადლობა გადაუხადა საერთაშორისო უსაფრთხოებაში წვლილი შეტანისათვის და ასევე  ISAF-ის ფარგლებში გაწეული წვლილისათვის და განაცხადა, რომ მიესალმება ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაფართოებას.

საბოლოოდ, დისკუსიის დროს, კითხვები ეხებოდა უსაფრთხოების საკითხებს სამხრეთ კავკასიასა და მის გარშემო, საქართველოს რეფორმებსა და  ნატოში გაწევრიანებას.  კოსენდაიმ დაადასტურა, რომ გერმანია სამომავლოდაც დაეხმარება საქართველოს ნატოში გაწევრიანებაში.